ეროვნული ბიბლიოთეკა


**გაზეთი ღირს**

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . . . . | 10 | — | 6 | . . . . . . | 6 | — |
| 11 | . . . . . . | 9 | 50 | 5 | . . . . . . | 5 | 50 |
| 10 | . . . . . . | 8 | 75 | 4 | . . . . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . . . . | 8 | — | 3 | . . . . . . | 3 | 50 |
| 8 | . . . . . . | 7 | 25 | 2 | . . . . . . | 2 | 75 |
| 7 | . . . . . . | 6 | 50 | 1 | . . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


ქვრივი ელენე ივანეს ასული ბილანოვისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა თავისის გარდაცვალებულის ქმრისას, სოლომონ სოლომონის ძე ბილანოვისას (ბუტულაშვილისას), რომ მობრძანდნენ გარდაცვალებულის პანაშვიდზედ სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში დღეს, 4 იანვარს, დილის თერთმეტს საათზედ

(1—1)

პარასკევს, იანვრის 6-ს 1889 წ.
ტფილისის კრუჟოკის დარბაზში
დანიშნულია

## ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.
ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.
ფასი ბილეთისა 2 მანეთი.
ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოჭრილ კაბებითაც მობრძანდნენ.
ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის" შვეიცართან.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 4 იანვარს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ჟოზეფ პარიჟელი ბიჭი
კომედია 2 მოქ.

II

## ალიაქოთი
კეთილშობილს ოჯახში
კომედ. 3 მოქმედ

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, მელიქოვისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა და სხვ.; ბ-ნნი ყიფიანი, აწყურელი, გამრეკელიძე, მაქსიმიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 3 იანვარი

ენა-ტანიობა, ცილის-წამება და ბეზღობა ისეთი რამ ცოდვა და დანაშაულობა, რომ არასოდეს და არსად ვერც ერთი რიგიანი ადამიანი, საზოგადოება ვერ შეიწყნარებს და სასტიკად სდევნის ყველას, ვინც ამ ცოდვას სჩადის. კიდევ უფრო შეუწყნარებელია იგივე ცოდვა დანაშაულობა, როცა მწერლობაში ჰბუდობს და როცა ცილის-მწამებელნი და მაბეზღარნი თან მალულად და თან ცხადლივ, მწერლობის საშუალებით, ლაქსა და ჩირქსა სცხებენ ყველას, ვინც იმათთვის, რომლისამე მიზეზით, საამური და სასიამოვნო არ არის. საკმაოა იმ მაბეზღართა მიმართულებისა და მიდრეკილებისა არ იყოთ, რომ საქვეყნოდ ცილი შეგწამონ, ყოველი მომაკვდინებელი ცოდვა დაგდონ ბრალად და საქვეყნოდ გამოგათრიონ მხოლოდ იმიტომ, რომ იმათი გული და ჭკუა-გონება ბეზღობისა და ცილის-წამების ფარგალს ვერ გადასულა და ვერც ერთს მაღალსა და კეთილს აზრს ვერ მისწვდომია.

ამაზე „ივერიას" რამდენჯერმე ჰქონია საუბარი მკითხველთან, მაგრამ მეტი არ იქნება კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იმავე საგანს, რადგანაც ჩვენში ბეზღობასა და ცილის-წამებას გასავალი და ბაზარი აქვს და ზოგი სულ-მოკლე და ქვემძრომელი მწერალი თითონაც ამითი იკვებება და სხვებსაც ამითივე ჰკვებავს. ამ გზობით ეს საუბარი მოგვაგონა გაზეთმა „Тифлисскій Листокъ"-მა, რომელმაც წარსულის წლის დამლევსა და ახალის დამდეგს თავი ისახელა ყოვლად შეუწყნარებელის ცილის-წამებითა და ბეზღობით. მკითხველთან დიდად უკაცრავად, რომ ამ გაზეთზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ: ამ ჯურის გაზეთის აზრი და მიმართულება საბაასო და საკამათო საგნად არასოდეს არა ყოფილა და არც იქნება, რადგანაც აზრი და მიმართულება იმისთვის უცხო, მიუწვდომელი ხილია; თუ ამ გზობით ამ წესსა და რიგს ვუმტყუნეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბეჭდვითი ცილის-წამება და ბეზღობა ყოვლად შეუწყნარებელია და საიდგანაც უნდა მომდინარეობდეს, დაუსჯელი არ უნდა რჩებოდეს. ამ გაზეთმა, რომლის „მწერალთა" არც ერთი ენა არ იციან იმდენად (სხვათა შორის რუსულიც), რომ თავიანთი აზრი სწორედ წარმოსთქვან და არც ცოდნა და მართებულობა შესწევთ იმდენი, რომ თავი შეიგავონ, რომლის მოქმედებას არავინ ყურადღებას არ ათხოვებს, ალბად იმიტომ-რომ გაზეთი ამისი ღირსი არ არის, წარსულის წლის დამლევს მოინდომა «სახელის მოხვეჭა» მეტად ადვილის საშუალებით. თუ არ ცილის-წამებითა და ბეზღობით აბა რითი მოიხვეჭდა სახელს სულით ობოლი და ღატაკი გაზეთი?

წლის დამლევს გაზეთმა თვალი გადაავლო ადგილობრივს საზოგადოებას და ახალი წელიწადი ცილის-წამებითა და ბეზღობით დაულოცა. ჰლაპარაკობს რა ზოგიერთთა მოღვაწეთა შესახებ, გაზეთი ამბობს: Пріютившись въ Тифлисѣ, господа эти сразу *раскусили настроеніе толпы*, начали проповѣдывать, что де слѣдуетъ отдѣлить себя Китайской стѣной отъ всего окружающаго, что не слѣдъ признавать все русское*)... როგორც ჰხედავთ, ხსენებული გაზეთი ცილსა სწამებს როგორც თვით საზოგადოებას, აგრეთვე იმის მოღვაწეთა. ამ ცილის-წამებაზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც უიმისოდაც ცხადი და აშკარაა. არც „Тифлисскій Листокъ"-ს გამოვესაუბრებით ამის გამო, რადგანაც მაბეზღართანა და ცილის-მწამებელთან ლაპარაკი მეტია და უადგილო. აქ მხოლოდ განზრახვა გვაქვს მკითხველს ვაცნობოთ, თუ რამდენად თამამად ფარფაშობენ ჩვენში თავ-აშვებულნი და თავ-გასულნი მაბეზღარანი.

ამას გარდა ორიოდე სიტყვით უნდა ვუსაყვედუროთ ადგილობრივს მწერლობასაც, რომელმაც ერთი სიტყვაც არ დასძრა „Тифлисскій Листокъ"-ის ამ გვარის საქციელის გასაკიცხად. მართალია, ზოგთათვის ესეთი ცილის-წამება და ბეზღობა საკბილო საქმეა და თუ ხმაც გაჰკმინდეს, სწორედ ამიტომ, მაგრამ სხვებისათვის კი ყოვლად შეუწყნარებელია ესეთი გულ-გრილობა. რუსულმა გაზეთმა «Новое Обозрѣніе»-მ ხმა გაიკმინდა, თითქო აქ არა იყოს-რაო, და ეს ყოვლად შეუწყნარებელია იმ გაზეთისათვის, რომელსაც საქვეყნოდ თავი მოაქვს და მოსწონს და სიტყვით მაინც მზად არის შეჰღაღადოს და შეჰმუსროს ყოველი ბიწიერება და უსამართლობა და თავისის ქება-დიდებით ყური გაგვიჭედოს. ამ გაზეთს არ შეუძლიან თავი იმართლოს იმითი, რომ „Тифлисскій Листокъ"-ის ბეზღობა და უმართებულობა ყურადღების ღირსი არ არისო. ყურადღების ღირსი არ იქნებოდა, რომ ბეზღობა «Тифлисскій Листокъ»-ს გარდა სხვას არ გაეხადა საკბილო საგნად. ერთის სიტყვით, „Тифлисскій Листокъ"-ის ქომაგობა ამ გზობით ყოვლად შეუძლებელი და შეუწყნარებელი უნდა იყოს თითოეულის ღირსეულ გაზეთისათვის, რომელმაც პირ-ბადე უნდა ახადოს თავ-აშვებულ, დაურიდებელ და პირ-გახეულ მაბეზღართა. ის-კი არავინ იფიქროს, ვითომ ჩვენ „Новое Обозрѣніе"-ს „Тифлисскій Листокъ"-ის თანამოზიარედ ვხადიდეთ. ღმერთმა გვაშოროს ეგეთი ეჭვი, რადგანაც ჩვეულებისამებრ არავის ცოდვას არ შევწამებთ,

*) „მოთავსდნენ რა ტფილისში, ეს ბატონები მიჰხვდნენ ხალხის გულის ძგერას და დაიწყეს ქადაგება, რომ საჭიროა ჩინეთის კედლით შემოვიზღუდოთ გარემემო და რომ არაფერი, რასაც რუსული ნიშანწყალი ამჩნევია, არ უნდა ვიწამოთ და არ უნდა მივიღოთ" („Тиф Листокъ", № 228).

# ფელეტონი

## საიდუმლო მოლოდება

საახალწლო მოთხრობა

(თარგმანი)

ახალწლის წინა დღე იყო. მე ახლად დაბრუნებული ვიყავი შინ დიდის ხნის მოგზაურობის შემდეგ. ამიტომ ნათესაობა უნდა შეგროვილიყო ჩვენსას, რომ ერთად მივეგებებოდით ახალ წელს და გვედღესასწაულა ჩემი დაბრუნება ამერიკიდამ.

სანამ სტუმრები შეიკრიბებოდნენ, მეცა და ჩემი და-ძმანიც შევგროვდით ზნელს ოთახში და შემოვუსხედით გაჩაღებულს ბუხარს. ყველას სალაპარაკო ჩემი მოგზაურობა და ამერიკაში ყოფნა იყო. უთუოდ ბევრი რამ გადამხდებოდა თავსა და კარგი ამბავი რამ გვიამბეო, მთხოვდნენ დებიცა და ძმებიც.

მეც დავყევ ნებას. ბუხარში შეშა შევუმატე, მოვუკიდე სიგარას და მივყევ:

— რაც მინდა გიამბოთ, ნამდვილია და კარგიც იქნება, რომ ეხლა მოისმინოთ, რადგანაც ამ ორის წლის წინად მოხდა და მერე სწორედ ახალწლის წინა დღე იყო მაშინაც.

ბენსკის ტყეებში ვიყავი სამუშაოდ. იქ გავიცანი და დავუმეგობრდი რამდენსამე კაცს, რომელნიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ და ატარებდნენ დროებას. ჩვენ ყველანი მიწებსა ვზომავდით. ერთს საღამოს, როდესაც მუშაობა გავათავეთ, შევიკრიბენით ჩვენს ქოხში, დავაგიზგიზეთ ცეცხლი და შემოვუსხედით გარს. ჯერ კარგად დავისვენეთ და გავთბით და მერე ვახშმის მზადებას შევუდექით.

ყველა ჩემს ამხანაგებში ერთი უფრო მომწონდა და მიღირდა, სხვათა შორის იმიტომ-რომ ჩვენებური იყო, ინგლისელი. იმისი სახელი და გვარი იყო ჯემს ველდინგი. ჯემსი განათლებული კაცი იყო, გონება წარმატებული და მეტად დიდკაცურად აღზრდილი. ვამბობდი კიდეც გულში: რა ექნა, რა გაუჭირდა ამ კაცს ისეთი, რომ ამ ტყეებში წამოსულა სამუშაოდ-მეთქი. მიკვირდა, როგორ იტანს ამ გვარს გაჭირებულს ცხოვრებას, ამდენს ტანჯვა-წვალებას, მუდამ ცის ქვეშ ყოფნას ამ უსიერსა და ატეხილს ტყეებში მეთქი. მესამე ინგლისელი ჩვენში ველდინგის მოსამსახურე იყო, კაცი მეტად გულ-კეთილი და სინიდისიანი. იმას ერქვა გრეგორი.

ველდინგი ჯერ ისევ ყმაწვილი და მეტად მოხდენილის სახის კაცი იყო. ეტყობოდა-კი, რომ რაღაც სევდა აწუხებდა, დაღონებული იყო და მძიმე ნაღველი უნდა სწოლოდა გულზედ.

სწორედ დღევანდელს საღამოს ველდინგი უფრო მეტად დაღონდა. თავ-პირი ჩამოსტიროდა საცოდავად და ლაპარაკიც-კი ეზარებოდა. ვახშმად დაჯდა, მაგრამ გემოდაც არა უნახავს-რა. ჩვენ-კი ისეთები ვიყავით, რომ სულ მგლეჯივით გავუსივით ხელი სასმელ-საჭმელს

თითქმის გათავებული გვქონდა პურის ჭამა, რომ გულმა ველარ მომითმინა და გაველაპარაკე დაძმარებულს ველდინგს

— ველდინგ, დღეს თქვენ როგორღაც ქეიფზედ ვერა ხართ, ხომ არა გტკივათ-რა? — შევეკითხე.

ველდინგმა უცბად ვერა მიპასუხა-რა, ყოყმანი დაიწყო და ბოლოსთითქოს ძალ-დატანებით წარმოსთქვა:

— მართალია, რაღაც მოუსვენრობასა და გულის-წუხილსა ვგრძნობ. იცი, ერინგტონ! მე... მე დღეს ძალიან აღშფოთებული ვიყავი... სულ გული მიწუხდებოდა. საზარელი საქმე დამემართა.

— რა იყო, რა მოხდა?

— ხმა მომესმა.

— როგორ თუ ხმა? რას ამბობ, რა ხმა? განა ისეთი საშიში და აღმაშფოთებელი იყო ის ხმა? — ვკითხე მე და თან ვიფიქრე: უთუოდ ნადირის ხმა შემოესმა და ეშინიან, ჩვენ ბინას არ დაეცესო.

— არა, საშიში-კი არა, მეტად ნაზი, მეტად საამური და ალერსიანი, — მიპასუხა ველდინგმა.

— ნაზი, საამური და მაინც გული შეგიწუხდათ? — ვკითხე გაოცებულმა.

— დიაღ, იმ ხმამ გული შემიწუხა, მაგრამ უნდა ესეც იცოდეთ, ერინგტონ, რომ მეტად სუსტი ვარ და აღელვება საშინლადა ჰმოქმედობს ჩემზედ.

— არ შეიძლება, რომ ამიხსნათ რა საიდუმლო ამბავს მიამბობთ?

— დიახ, თქვენ სწორედა ბძანებთ, ეს ამბავი მართლა რომ საიდუმლო ამბავია, საიდუმლო და ჯერ გამოურკვეველი ამ ქვეყნად. იქნება კიდეც სჯობდეს, რომ გაიგოთ ჩემი თავგადასავალი, ერინგტონ, — განაგრძო მან მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ: — მე დიდად სასიამოვნოდ დამრჩება ვუამბო ვისმე ეს ამბავი, ვიდრე მოვკვდებოდე აქ თქვენზედ მომეტებულად მახლობელიც არავინა მყავს.

— სთქვი, ველდინგ, მე დიდის სიამოვნებით მოვისმენ, მხოლოდ ამასკი გთხოვ სიკვდილისას ნურას მეტყვი.

— არა, — არას ვიტყვი, — მითხრა ჯემსმა: — მხოლოდ ერთს ამბავს გიამბობ.

— ვითომ რა ამბავს?

— იმ ამბავს, რომ დღეს მე საიქიოს მიმიწოდეს.

— გამიგონეთ, — ვუთხარი მე: — ჩვენი ცხოვრება უიმისოდაც ათას ნაირის მწუხარებით არის სავსე და აბა რაღა მაგ ამაოდ-მორწმუნოების მიმატება უნდა.

— ჯერ ყური დამიგდეთ რას გიამბობთ და მერე თქვენვე განსაჯეთ, — სთქვა ველდინგმა და დაიწყო თავისი მოთხრობა.

24 წლისა ვიქნებოდი, როდესაც ამერიკაში მოვედი ბედის საცდელად. ჩემს სამშობლო ქვეყანაში მქონდა საკუთრება, რომელიც წელიწადში 400 სტერლინგს მაძლევდა, მაგრამ ყმაწვილის კაცისათვის ეს შემოსავალი დიდი არა არის-რა. მამა რომ გარდაგვეცვალა, ჩვენი საქმეებიც აირ-

სანამ ბრალი და დანაშაულობა მეტად ცხადი და აშკარა არ არის, და თუ ამაზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეული პატიოსანი და ღირსეული ადამიანი, ან ჟურნალ-გაზეთი ვალდებულია კრიჭაში ჩაუდგეს მაბეზღართა და ცილის-მწამებელთა.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

⁂ ტფილისის ბულვარის მტკეპნელთა საზოგადოების წევრებს, რომელნიც დღე-ღამე ქეიფის მეტს არას აკეთებენ და, რაღა თქმა უნდა, ამის გამო არც ჯიბეში უჭყავით რამე, ახალის ხრიკისთვის მიუყვიათ ხელი ფულის საშოვნელად. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ამ ახალ წელს ხელოსნებმა და ვაჭრებმა ახალი ბილეთი უნდა აიღონ ვაჭრობისა და დუქანდარობისა. ბევრს თუმცა ფულიცა აქვს, მაინც ვერ ასწრობს პირველისა და მეორე დღისთვის აღებას ამ ბილეთისას, რადგან ხაზინა ვერ ასწრობს მისეულს ვაჭრებსა და სხვა-და-სხვა დუქნების პატრონებს და ყველას დროზედ ვერ ურიგებს გილდებს. ზემოხსენებულის საზოგადოების წევრებს ეს ამბავი თითზე დაუხვევიათ, ორნი-სამნი დადიან თურმე ტფილისის მიყრუებულს ქუჩებში უვიც და უცოდინარ დუქნის პატრონებთანა და ხელოსნებთან, როგორნიც, მაგალითებრ, არიან მუშტაიდები, მკალავები და სხვანი, და გილდსა სთხოვენ. თუ იმას ვერ მოუსწრია აღება, მაშინ ჯარიმის გადახდევინებას ემუქრებიან და ქრთამს ართმევენ, ვითომ-და შეგიბრალებთ და ჯარიმისაგან თავს დაგახწევინებთო. საზოგადოდ ამ ვაჭრობის ბილეთების შესამოწმებლად მთავრობის რევიზორები იანვრის დამლევს დადიან ხოლმე და ამიტომ კარგი იქმნებოდა, რომ ზემოხსენებული ხელოსნები და დუქანდრები უბრალოდ არავინ მიენდობოდნენ ხოლმე და ამ მხრივ გაფრთხილებულნი იყვნენ.

⁂ წარსულს პარასკევს, 30-ს დეკემბრისას, სამეურნეო საზოგადოებას მორიგი კრება ჰქონდა. კრებაზე დაესწრო საკმაოდ ბევრი ხალხი. კრებამ განიხილა ტფილისის საბაღოსნო სკოლის წლიური ხარჯთა აღრიცხვა. ამ სკოლაში აქამდე სამი სპეციალური და ორი მოსამზადებელი კლასი იყო. უკვე გადაწყვეტილია, რომ სკოლას მიემატოს მეოთხე სპეციალური კლასიც და ამიტომაც სკოლის შესანახად საჭიროა დამატებითი ხარჯი. შარშან სკოლაზე დაიხარჯა სულ 13,585 მან., დამდეგის წლიდამ-კი საჭიროა 14,572 მ. 60 კაპ. მცირეოდენს ბაასს შემდეგ კრებამ ეს ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა, ასე რომ დღეიდგან ეს სკოლა ოთხ-კლასიანი იქნება.

აქ მხოლოდ ერთი ის უნდა შევნიშნოთ, რომ სწავლა-აღზრდა ამ სკოლაში მეტის-მეტად ძვირად ჯდება. სკოლაში სულ 55 შეგირდია, მათ შორის 38 პანსიონერი, 10 ნახევარ პანსიონერი და 7-კი გარედგან მოსიარულე. ორთა-შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, საზოგადოებასა და ხაზინას თითო შეგირდი 300 მან. მეტი უჯდება. აქ არ ვანგარიშობთ სახლის ქირას, რადგან სახლი სკოლის საკუთრებაა. ამ ოთხის წლის განმავლობაში დახარჯულია ამ სკოლისათვის 60,000 მანეთზე მეტი.

ბოლოს ბ-ნმა გეევსკიმ კრებას მოახსენა, რომ, მონდობილებისამებრ, განვიხილეთ ბელაქნელ ჰაჯი ისმაილოვისაგან წარმოდგენილი ხილეულობა და ვსცანით, რომ იგი მაღალის ღირსებისაა, რის გამოც საჭიროა, კავკასიის მეურნეთა წასახალისებლად, ჰაჯი ისმაილოვი დასაჩუქრდეს ვერცხლის მენდლითაო. კრებამ შეიწყნარა ბ-ნის გეევსკის მოხსენება და გადასწყვიტა დააჯილდოვოს ჰაჯი ისმაილოვი.

⁂ თელავი: 15-ს ქრისტიშობისთვეს აქაურს სომეხთა ტაძარში დილის წირვაზედ პანაშვიდი გადაიხადეს აწ განსვენებულის მ. ტ. გრაფ ლორის-მელიქოვის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მღვდელმა შემთხვევის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

⁂ ბ-ნი გ. ბურჯულაძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: დიდი ხანია, თელაველები მოწადინებულნი ვიყავით წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ გაგვემართა წარმოდგენა და შეძლების დაგვარი შემწეობა აღმოგვეჩინა სკოლისათვის, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხეთ. 20 დეკემბრისას თელავის კლუბის დარბაზში აქაურმა სცენის-მოყვარეებმა ქ-ნის ქ. ანდრონიკაშვილის დახმარებით გაჰმართეს ქართული წარმოდგენა ზემოხსენებულ სკოლის სასარგებლოდ და გთხოვთ ამ წარმოდგენის ანგარიში დაჰბეჭდოთ თქვენს გაზეთში.

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ბილეთები გაიყიდა სულ . | 79 | 60 |
| ბ-ნმა ბოგუცკიმ გარდა ბილეთის ფასისა გამოგზავნა კიდევ . . . . . | 1 | „ |
| სულ შემოსავალი იყო | 80 | 60 |

ხარჯი:

| | | |
|---|---|---|
| პარიკმახერს. . . . . . | 8 | „ |
| მეზურნეებს. . . . . . | 3 | „ |
| სცენისათვის. . . . . . | 8 | „ |
| მებუფეტეს 24-ის სკამის ქირა და ერთის კერძის-შემწვარის ფასი . . . | 2 | 65 |
| მოსამსახურე ლაქიებს . . | 2 | „ |
| ტანისამოსის ქირა და ერთის ქულაჯის შეკერვა. | 4 | 6 |
| მუშას . . . . . . . | „ | 60 |
| სანთელი . . . . . . | 1 | 10 |
| წვრილმანი ხარჯი . . . . | „ | 25 |
| სულ . . . . | 29 | 66 |

შემოსავალიდამ ხარჯი გამოვიდეთ და დარჩება 50 მ. 94 კ.

ამასთანავე ვუგზავნით „ივერიის“ რედაქციას 51 მან. კუთვნილებისამებრ გადასაცემად.

წარმოადგინეს: „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა, „ბიძასთან გამოხუმრება“ რ. ერისთავისა და სცენები „მირაფორი სუდიასთან“ დ. სოსლანისა. გარდა ქ-ნის ქ. ანდრონიკაშვილისა წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ბ-ნმა ა. ვახვახიშვილმა, ი. ზურაბაშვილმა, ა. ბარნოვმა და ზ. ჩხიკვაძემ. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. უქმი დღე და კაი დარი რომ ყოფილიყო, უეჭველია მეტი ხალხი დაესწრებოდა.

⁂ ორს იანვარს მიხეილის ქუჩაზე, პაატოვის სახლში, სადაც რკინის გზის მმართველობის სადგომია, ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა შერი და იატაკი. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა კომანდამ.

⁂ იმავე დღეს მეხუთე განყოფილებაში ტფილისის მოქალაქის ქვრივი ეფემია ფირიდონოვისა, 80 წლისა, მოჰკლა ნახშირის სუნმა.

⁂ გიორგი მესხელიშვილი, რომელმაც წარსულის ენკენისთვის 28-ს მოჰკლა ტფილისის მოქალაქე გეურქ სარქისოვი, ორს ამ თვისას შეიპყრეს 1-ის განყოფილების პრისტავმა სვამონოვმა და პოლიციის ჯარის-კაცმა ნადიროვმა სოფ. ძეგვში, გორის მაზრაში. მესხელიშვილი ჩაბარეს გამომძიებელს.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ მე-273 №-ში, ახალს ამბავში ქართულის გალობის შესახებ, შეცდომით მოხსენებული იყო ასე: „კიდევ დარჩა გადაუღებელი 862“. უნდა იყოს: „კიდევ დარჩა გადაუღებელი 300 ნომერი, ხოლო ათასი უკვე გადაღებულია“.

## საახალწლო კალანდა*)

### კვირა

უკეთუ დადგების იანვარი დღესა კვირიაკისასა, ზამთარი იყოს ნოტიო, ზაფხული ხმელ, ნაყოფი ფრიად, სთველი მცირედ, თაფლი ფრიად, სთველი ქარიან, საცხოვარი კეთილ.

### ორშაბათი

ორშაბათს-ღა დადგეს, ზამთარი იყოს ტფილ, ზაფხულ დარი კეთილი, წვიმანი დიდ-დიდნი და ჰაერთა საშინელებანი, სთველი ხმელ, ნაყოფი ფრიად თაფლი მცირედ, სნეულებანი ზედაზ-ზედა და მეყსეულად სიკვდილი გლახაკთა და ცხროა ფრიად.

### სამშაბათი

სამშაბათსაღა დადგეს, ზამთარი იყოს მყარ, სთველი ნოტიო, ნაყოფთა ნაკლებული ვნებაჲ, დედათა სიკვდილი, სნეულებანი, და ნავთა დაქცევანი ზღვათა.

### ოთხშაბათი

ოთხშაბათს-ღა დადგეს, ზამთარი იყოს ფიცხელ, ზაფხული ნოტიო, არაკეთილ, იჭქლი მცირედ, სთველი და ხილი ფრიად და ყოველისა საქმისა აღსრულებაჲ, მამათა სიკვდილი.

### ხუთშაბათი

ხუთშაბათს-ღა დადგეს, ზამთარი იყოს კეთილ, ზაფხული ქარიან, სთველი და ქარი შეზავებულ, თაფლი მცირედ, მთავართა და დიდ-დიდთა წყმედაჲ.

### პარასკევი

პარასკევს-ღა დადგეს, ზამთარი იყოს მყოარ და ფიცხელ, ზაფხული და არი ნოტიო, სთველი ხმელ, პური და ღვინოჲ ფრიად და ყოველი ნაყოფი იეფად, თვალთა სალმობაჲ და ჩჩვილთა სიკვდილი.

### შაბათი

შაბათს-ღა დადგეს, ზამთარი იყოს მძიმე, ჰაერი წმინდა, იწროება ნაყოფთაჲ, საცხოვართა სიკვდილი, ხურვებაჲ, ცხროჲ სნეულებანი ზედაზ-ზედა, სახლთა წვევაჲ და ბერთა სიკვდილი.

*) საქართველოს ისტორია ვახუშტისა, შენიშვნა დ. ზ. ბაქრაძისა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად „ივერიის“ მე-270 ნომერში წავიკითხე ოზურგეთიდგან მოწერილი მოკლე შენიშვნა. ამ შენიშვნის ავტორი კსაყვედურება ოზურგეთელ სცენის მოყვარეთა, რომ იმათ არ აცნობეს საზოგადოებას დაწვრილებითი ანგარიში იმ წარმოდგენის შემოსავლისა, რომელიც გაჰმართეს დეკემბრის ხუთს ოზურგეთში სახელო-მოქმედო საგნისათვის. ამის გამო, ამხობს ავტორი, ცუდი ხმები ვრცელდება როგორც შემოსავლის რაოდენობაზე, ისე შემოსულის ფულის მოხმარებაზედ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წარმოდგენის შესახებ „ივერიის“ მე-262 ნომერში უკვე იყო დაბეჭდილი პატარა შე-

---

დაირია. მაშინ უეცრად შევიტყეთ, რომ დიდი ვალი დაგვდებოდა. ვალი, როგორც იყო, გადავწყვიტეთ, რომ სახელი არ გაგვტეხოდა, და დანარჩენი გავიყავით სამთა ძმათა. მე ჩემი მესამედი მივიღე და ამერიკისაკენ წამოვედი. გრეგორი ჩვენის მონადირის შვილია. ამანაც ისურვა ახალის ქვეყნების დათვალიერება და მოინდომა ჩემთან წამოსვლა მოსამსახურედ, მაგრამ მე ისე მდიდარი არ ვიყავი, რომ მოსამსახურედ მიმეღო; მაინც გრეგორი უფრო მეგობრად მიმაჩნდა და მიმაჩნია დღესაც, თუმცა ის თავისას არ იშლის და მემსახურება. ხომალდზედ, როდესაც ამერიკაზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ჩვენ ყოველთვის ნატვრის ქვეყანას ვუწოდებდით ხოლმე აქაურობას,—დაუმატა ველდინგმა ღიმილით.

— მერე, აგისრულდათ თქვენი ნატვრა?—ვკითხე მე.

— დიაღ, ზოგიერთი აგვისრულდა. ჩემი ნატვრა იმითი ასრულდა, რომ მე აქ ვპოვე ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული, რობერტ ერინგტონ, ჭეშმარიტი სიყვარული ვპოვე მე აქ.

— მესმის, მესმის. მერე?

— მერე ისა, რომ მე აქ ვპოვე მარიამ ოფრეი. ქვეყანაზედ არ იქნებოდა იმაზედ გულ-კეთილი, მშვენიერი, ნასწავლი და ჭკვიანი დედაკაცი. ეს ქალი ბოსტონელი იყო, შეძლება დიდი არა ჰქონდა-რა. ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთი, ბოლოს ჯვარიც დავიწერეთ და ბედნიერად ვცხოვრობდით.

— შვილები გყავდათ?

— დიაღ, ერთი ქალი, მშვენიერი, როგორც ანგელოზი. სახელად ჟანნა დავარქვით. ყველას ძრიელ გვიყვარდა და გრეგორი ხომ თავს გასწირავდა იმისთვის.

ასე გაიარა შვიდმა წელიწადმა სრულს ბედნიერებაში, მხოლოდ ათასში ერთხელ ჩემის ცოლის სისუსტე და ულონობა შემაფიქრიანებდა ხოლმე, მაგრამ ვსცდილობდი ეს ფიქრი განმეშორებინა, რადგანაც არა მჯეროდა იმისი მძიმედ ავადმყოფობა. ჟანნა ექვსის წლისა შეგვისრულდა. მეტად მხიარული და ნიჭიერი ქალი იზრდებოდა, მაგრამ ერთი ისეთი საოცარი თვისება ჰქონდა, რომ მე თითონაც არ შემეძლო იმისი ახსნა: ხშირად თავის თავად ლაპარაკობდა და ისეთს გასაოცარს სიზმრებს გვეტყოდა ხოლმე, რომ მგონია სხვა ბავშვებს არას დროს არ ესიზმრებოდეთ ამ ნაირი სიზმრები. ჩემს ცოლს უკვირდა, ეცინებოდა ხოლმე, მაგრამ, თუ მეტის-მეტს გასაოცარს რასმე იტყოდა, მაშინ-კი მომიბრუნდებოდა და მკითხავდა: არ გიკვირს, ამისი ქცევა, ჯემსო!—მე ვუპასუხებდი: განა ვერა ჰხედავ, რომ ეს ბავშვი პირდაპირ თვალთ-მაქცისგან არის გამოგზავნილი-მეთქი?..

გაიარა კიდევ ერთმა წელიწადმა. ჟანნა პირველ იანვარს იყო დაბადებული და ჩვენ უნდა იმის დაბადების დღე გვედღესასწაულნა. ჩაის შემდეგ ბავშვმა დაიწყო მხიარულად ტიტინი: ჩემი პატარა სტუმრები ასე და ასე უნდა გავართოვო. მაგრამ მალე მოიქანცა, ჩამოჯდა პატარა სკამზედ და დაფიქრდა.

უცებ ეს ბავშვი მომიბრუნდა და მკითხა:

— მამა, წელან შენ რადა სთქვი, რომ ხვალ ჩვენ თორმეტნი ვიქნებითო?

— იმიტომ-რომ თორმეტნი ვიქნებით, ჟანნა.

— არა,—სთქვა ბავშვმა და თავი გაიქნია უარის ნიშნად:—ჩვენ ხვალ თერთმეტნი ვიქნებით. აი, ეს არის ეხლა დავთვალე.

— აბა როგორ დათვალე? ყური მიგდე: ცხრა შენი ამხანაგი, შენ მეათე, მერე მე და დედაშენი. ესეც შენი თორმეტი.

— დედა ხომ არ იქნება ჩვენთან?

— შენ, ჩემო კარგო, პატარა ტიკტიკა ხარ! მაშ სად უნდა იყოს დედა?

ჟანნა მაინც სულ იმას გაიძახოდა, რომ დედა ჩვენთან არ იქნებაო. მე თავი დავანებე, რადგანაც ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ ხვალ ყველანი ერთად ვიქმნებოდით და, მაშასადამე, იმისი დედაც ჩვენთან უნდა ყოფილიყო.

მეორე დღეს შუადღისას ჩემი ცოლი გარდაიცვალა... ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ ველდინგმა განაგრძო:

იმ საზარელ დღიდგან სამმა წელიწადმა გაიარა. დადგა ჟანნას დაბადების დღე: ათი წელიწადი უნდა შესრულებოდა.

ახალწლის წინა დღეს ჟანნა ჩემს ოთახში იჯდა და წიგნსა სწავლობდა. მშვენიერი, მზიანი დღე იყო. ჟანნამ წიგნის კითხვა რომ გაათავა, მხიარულად დავუწყე ლაპარაკი და ვუამბე, რა სიამოვნება მოელოდა ხვალინდელს დღეს. ჩვენ ვაპირებდით ქალაქს გარეთ გასეირნებას. ავუწერე მშვენიერება ქალაქის გარშემო მიდამოსი და ვუთხარი, რომ სიამოვნებით გავატარებთ ხვალ დროს-მეთქი თან დავუმატე: ამ სახით, ხვალ ჩვენ სამნი—ლოტი, ჟანნეტა და მე დიდად ბედნიერნი ვიქმნებით-მეთქი.

— მამავ! ეს ყველა კარგიო,—წამოიძახა უცებ ჟანნამ:—მაგრამ მე რომ ხვალ თქვენთან არ ვიქმნები?

ამ სიტყვების გაგონებაზედ ჟრუანტელმა დამიარა ტანში: მომაგონდა ის დღე, როდესაც ამ სამის წლის წინად ჟანნამ ასეთივე სიტყვა სთქვა თავისს დედაზედ.

— ვითომ რა გინდა სთქვა, ჩემო კარგო?

— ის, რომ იმ სეირნობის დროს მე თქვენთან არ ვიქნები, მარტო ლოტი იქნება.

— ჟანნა, რად ამბობ მაგას, ვინ გითხრა, რომ არ იქნები?

— წუხელის ჩემს ოთახში დედა მოვიდა და მითხრა, რომ ხვალ შენ ჩემთან იქნებიო,—მიპასუხა ბავშვმა დაბეჯითებით. მგონი დედამ გამაღვიძა, იმიტომ-რომ, თვალები რო გავახილე, ჩემ საწოლთან დედა დავინახე. ბავშვი ისე დამშვიდებული ლაპარაკობდა, რომ თითქო წაკითხულს უამბობს ვისმეო და იმას არც-კი შეეხება ეს ამბავიო.

გამოუთქმელის შიშით ამევსო გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნა, მაგრამ ამ შენიშვნაში პატივცემული ავტორი, ბ-ნი კ. ბ—ლი, არ ვიცი რა მიზეზით, ანგარიშზე არაფერს ამბობს. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ავტორს, თუ არ იცოდა, ძალიან ადვილად შეეძლო გაეგო რამდენი შემოვიდა, რამდენი დაიხარჯა და სად რამდენი გაიგზავნა, რადგანაც წარმოდგენის საქმე ჩვენ სცენის მოყვარეთა შორის კეთდებოდა ყველასათვის თვალთ-სახილველად და არა-მალულად. მაინცა და მაინც „ივერიის“ მე-270 ნომერში დაბეჭდილი შენიშვნა-კი სრულიად კანონიერია და საფუძვლიანი და ამიტომ დაუყოვნებლივ ვაცნობებ საზოგადოებას დაწვრილებითს ანგარიშს წარმოდგენისას.

ადგილები იყო სულ 152 მ. და 50 მ.: ა) ათი სავარძელი—30 მ., ბ) პირველს რიგში 14 ადგილი—28 მან., გ) მეორე რიგისა 14 ადგ.—21 მ., დ) მესამე, მეოთხე და მეხუთე რიგისა (თხუთმეტ-თხუთმეტი ადგილი თითოში)—სულ 45 მ., ე) მეექვსე რიგისა 15 ადგ.—12 მ., ვ) მეშვიდე რიგისა 15 ად.—7 მ. 50 კ. და ზ) 30 ადგ. გალერეისა—9 მ.

გაიყიდა: 4 სავარძელი, 13 ადგილი პირველის რიგისა, 8 ად. მეორისა, 41 ად. მესამისა, მეოთხისა და მეხუთისა, 9 ადგ. მეექვსე რიგისა, 14 ად. მეშვიდე რიგისა, 30 ად. გალერეისა და 10 გაპეიკეს გალერეის ბილეთის უქონლობის გამო გამოართვეს ერთს უმაწვილს. სულ შემოვიდა 114 მ. 30 კ.

დაიხარჯა: ა) სცენის მოწყობისათვის—10 მ., ბ) მემუსიკეებს—3 მ., გ) განათებისა და გათბობისათვის—3 მ. 30 კ., დ) აქტრისა ბებურიშვილის ქალს შრომის ფასად და ცხენის ქირად მიეცა—9 მ., ე) მუშას და მეურმეს—3 მ. 10 კ., ვ) პარიკმახერს—2 მ., ზ) ფარდების ქირა—1 მ. წმინდა შემოსავალი დარჩა 82 მ. 90 კ. ამ ფულიდგან 40 მ. გავუგზავნეთ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის მმართველს ბ-ნს ერ. ნაკაშიძეს და 42 მ. 90 კ. გადავეცით ოზურგეთის საქალებო სკოლის მზრუნველს. წარმოდგენის შემოსავლის დაწვრილებითი ანგარიში, გაუყიდავი ბილეთები და ბარათები ფოსტის კანტორისა და სკოლის მზრუნველისა დიდი ხანია რაც ოზურგეთის საზოგადოების დარბაზშია გამოკიდებული.

მასწავ. სერგეი ფარეიშვილი

1888 წ. 27 დეკემბერს

ქ. ოზურგეთი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ბულანჟეს შემდეგი საარჩევანო ეპისტოლე დაუბეჭდია თავის ამომრჩეველთა მიმართ: «ამომრჩეველნო სენისანო! ისინი, ვინც ყოველი ღონე იხმარა, რომ მე ამოსარჩევი კაცი გამხდარვიყავ, ეხლა გიქდებიან და დობლებსა ჰყრიან, ვაითუ მართლა ამოირჩიონ ბულანჟეო. აქამდე ჩემის ხმლისა ეშინოდათ; ადგნენ და წამართვეს ეს ხმალი, მაგრამ ეხლა უფრო ეშინიანთ ჩემი, ვიდრე მაშინ, როცა ხმალი მერტყა. ცხადია, რომ ნამდვილად საყოველთაო კენჭის ყრისა უფრო ეშინიანთ. ამ კენჭის ყრამ დაანახვა, რომ ქვეყანა სჩივის და ჰდრტვინავს, რომ ეს ჩივილი და დრტვინვა იმ უბედურებისაგან წარმოსდგა, რომელშიაც ჩააგდო რესპუბლიკა მათმა უნიჭობამ, სულ-მდაბლობამ და ძილის-მომგვრელმა მსჯელობამ. რასაკვირველია, იმათთვის კარგია, რომ თავიანთი უბადრუკობა მე მომაწერონ, თავიანთი უვულობა მე დამწამონ და ამ სახით მე გამამტყუნონ, რომ ვითომ მე ვარ დამნაშავე, რაკი ერმა ზურგი შეუბრუნა იმათ. როცა მინისტრი ვიყავი, ეცადნენ გადაევყენებინეთ: მაგის მინისტრობა ვითომ ომს მოასწავებსო. როცა ახლა კანდიდატად გამოვდივარ, მლანძღავენ იმიტომ-რომ ვითომ მე დიქტატორობას ვეტანები. დიქტატორობა! განა დიქტატორობის მსხვერპლნი არა ვართ ჩვენ ეხლა? განა მუდამ დღე განსაკუთრებულს კანონებს არ იგონებენ ჩემსაა და ჩემ ამომრჩეველთა წინაალმდეგ? თუ-კი დიქტატორობა მდომებოდა, მაშინ უნდა მომეპოვებინა, როცა სამხედრო მინისტრი ვიყავი და მთელი ჯარი და მხედრობა ხელში მეჭირა. მაგრამ განა ჩემი ქცევა მაშინ ისეთი იყო, რომ დღეს ასეთი საწყენი ეჭვი აქვსთ ჩემზე? არა, მე ყველა პატივსა მცემდა და ჩემის მხრით არავის სახელსა და დიდებას არ შევხებივარ. რა არის აბა სადიქტატორო იმაში, რომ ვთხოულობ კონსტიტუციის გადასინჯვას. პირველში სარესპუბლიკო დასის მეთაურნი ამბობდნენ ჩემზე, რომ ბულანჟე რესპუბლიკელია და, მაშასადამე, შეიძლება მინისტრად იქმნეს არჩეულიო. მერე მას უკან განა რითი წავიწყმინდე თავი რესპუბლიკის წინაშე? აბა დამისახელონ თუნდა ერთი ისეთი საქციელი, ან ერთი ჩემი ეპისტოლე, რომ იმითი ჩემი რესპუბლიკელობა არ დამტკიცებულიყო! ხოლო მე, როგორც მთელს საფრანგეთსაც, ისეთი რესპუბლიკა მინდა, რომლის საფუძველად სულ სხვა რამ უნდა იყოს და არა პატივ-მოყვარეობა და ანგარება. აბა რას უნდა მოველოდეთ ჩვენ იმათგან, რომელნიც თითონვე ამბობენ, რომ ამ 15 წლის განმავლობაში ვსტყუვდებოდით, შეცდომილნი ვიყავითო და ეხლა თხოულობენ, კვლავ გვენდობოდეს საფრანგეთიო? ამომრჩეველნო სენისანო! საფრანგეთს სწყურიან სამართლიანობა, ჭეშმარიტება, უანგარობა. მე მგონია, რომ ვინც საფრანგეთს გაანთავისუფლებს ფულის მფლანგველებისაგან და პატივ-მოყვარეობით შეპყრობილთა გაჯიბრებისაგან, ის პატიოსნებით ემსახურება თავისს სამშობლოს. სამშობლო ჩვენი საყოველთაო კუთვნილებაა. თქვენ არ ინებებთ, რომ იგი მხოლოდ თითოოროლას ეკუთვნოდეს. გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს რესპუბლიკას!

გენ. ბულანჟე“

— მეტი არ იქნება კასანიაკის აზრიც მოვისმინოთ ბულანჟესა და იმის კანდიდატობის გამო. კასანიაკის აზრი ცხადად ჰხატავს საფრანგეთის რეაქციონერების აზრს. „მე პირობას არასა ვსთხოვ გენერალ ბულანჟესაო, ბრძანებს რედაქტორი „Autorité“-სი. არც მინდა დავიყოლიო გენერალი რაიმე პირობაზედ და მერე იმის მომხრეთა შორის ჩავეწეროო; მაგრამ, მგონია, ამას-კი ვერავინ დამიშლის, რომ ბულანჟე გამოვიყენო იმის წინააღმდეგ, რაც ყველაზე მეტად მეჯავრება და მძაგს, ესე იგი საპარლამენტო წესების წინააღმდეგ, იმ საპარლამენტო წესებისა, რომლის შევნებაც ბ-ნი ფლოკე ბრძანდება. აი ამ საპარლამენტო წესებს ემუქრება სწორედ ბულანჟე. ყველანი, რადიკალებიდამ დაწყებული კომუნარებამდე, შეერთდნენ და უნდათ დაიცვან თავი საერთო მტრისაგან. არცა ჰმალავენ ყველა ეს ვაჟბატონები, რომ გენერლის გამარჯვება დაჰღუპავს რესპუბლიკის მთავრობასაო. მართლაცა-და ვინ არიან ბულანჟეს მტერნი? კლემანსო და მისი გაზეთი „Juctice, Rappel“ იდა ბ-ნი ვაკერი, Siècle ბრისონითურთ, Mot d'ordre თავის რანკით, Lanterne მეიერითურთ და Republique Francaiçe ფერრითურთ. ესენი ყოველ დღე ჰლანძღავენ და ათრევენ გენერალს. მარტო ერთი იმისი სახელი ზნედასა ჰგვრისთ! განა ამ გარემოებაში მე უნდა პირობაც მოვსთხოვო რამე ბულანჟეს? ამ პირობის მოთხოვნა ხომ საქმეს გაუძნელებდა გენერალს. მე ის სიხარული არ მეყოფა, რომელსაც ვიგრძნობ სიამოვნებით, როცა, თუ როგორც იმედი მაქვს, გაიმარჯვებს ბულანჟე თავისს მტრებზე, რომელნიც ჩემი მტრებიც არიან? ეხლა კერძო არჩევანებია, სხვა ხომ არაფერი. ეს არ უნდა დავივიწყოთ, პირობის მაგიერ, რომელიც მეტიც არის და შემაწუხებელიც, როგორც ჩვენთვის, ისე თვით გენერლისათვისაც, ჩვენ ვიკმაროთ ის ჩალაცა, რომელსაც, თუ ვინიცობაა მოერია ბულანჟე, გამოავლებს რესპუბლიკელთა ბრბოს; იმ ბრბოს, რომლის უღელიც გვადგია დღეს ქედზედ ჩვენის სამშობლოს საუბედუროდ და სამარცხვინოდ. პოლიტიკაში მეტის-მეტი არ უნდა მოითხოვოს კაცმა. აი ამიტომ მე მირჩევნიან ისეთი ბულანჟე, რომელიც კერძოდ არასა მპირდება, მაგრამ კარნოსა და ფლოკეს-კი თავპირს ამტვრევს, ვიდრე ისეთი, რომელიც ყველაფერსა მპირდება, რაც მსურს, მაგრამ კენჭის ყრიდამ-კი გაშავებული გამოდის. მართლაცა-და რა გვინდა ჩვენ ბულანჟეობისაგან? ბულანჟეობისაგან ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მან იარაღის საქმე გაგვიწიოს, ისეთის იარაღისა, რომელმაც შეიძლოს შეარყიოს და დასცეს დღევანდელი სარესპუბლიკო წესი, ეს ჩვენ მიერ ჰირივით შეძაგებული საპარლამენტო წყობილება. ბულანჟეობა იარაღია, ხელსაწყობია, მაშინაა. აბა მაშინასთან რა მოლაპარაკება უნდა გაჰმართოს კაცმა? ეს იარაღი უნდა გამოიყენო და გაიარო მისგან გარღვეული ციხის კედელი, რომელსაც მარტო შენ ვერ გაარღვევდი შენის ღონითა. ან-კი წინა არჩევანებზე როდის ვთხოვდით ბულანჟეს, დაგვპირდი ჩვენც მოწყალებასაო? არა ვსთხოვდით და კარგადაც ვიქცეოდით. ციმეორეპ კიდევ: დღეს რომ საქმე იმაზე იყოს მიმდგარი, ელისეს სასახლეში ბულანჟე დავსვათ კარნოს მაგიეროო, მაშინ, რასაკვირველია, პირობას დაუდებდი და იმასაც სამაგიეროს მოვსთხოვდი, მაგრამ აქ უბრალო საარჩევანო საქმეა და ჩვენ იმას უნდა მივემხროთ, ვინც დაამარცხებს ფლოკესა და კარნოს რესპუბლიკას. ვინც უნდა იყოს დამამარცხებელი, ეგ ჩვენთვის სულ ერთია. არა, მტრები რომ დავამარცხოთ, განვაბნიოთ, ეს არა კმარა განა ჩვენთვის?“

## წვრილი ამბები

მადრიდიდგან აუწყებენ საზღვარ-გარეთის სხვა გაზეთებს, რომ საფრანგეთის საზღვარზე ვიღაც საიდუმლო მოგზაური დააპატიმრესო. ამბობენ, რომ ეს ის კაცია, რომელსაც დიდი ხანია დაეძებს ლონდონის პოლიცია და რომელმაც იმდენი ქალი იმსხვერპლა ლონდონშიო. ლონდონიდგან პოლიციის აგენტი უთვალთვალებდა თურმე და თან დასდევდა ფარულად. დაპატიმრებულს რაღაც არასასახლო წერილები და საეჭვო ნივთები აღმოსჩენია.

— აწინდელს მეფეს ისპანიისას, ორის წლისა და ნახევრის ალფონს მე-XIII, დიდ-ძალი ამალა ჰყავს და, სხვათა შორის, საიდუმლოთა საქმეთა მდი-

---

ლი, ჩავიკარ გულში ქალი და უიმედოდ შევყვირე: ჟანნა! ჟანნა! გულს რაზედ მიკლავ? რად მეუბნები მაგასა? შენ რომ დედასთან წახვიდე, მე ხომ მარტო დავრჩები, სრულიად მარტო მეთქი!

ჟანნამ ტირილი დაიწყო, მაგრამ ჩემის მწუხარების მიზეზს-კი მაინც ვერ მიხვდა.

— იმ დილითვე, ჩვენის ლაპარაკის შემდეგ, ჟანნეტას უცებ ყელის ტკივილი შეხვდა. ყელის ტკივილი იმ ჟამად ბოსტონში ძალიან იყო გახშირებული. მეორე დღესვე, სწორედ თავის დაბადების დღეს, ჟანნამ თქვენი პირი წაიღო.

— მე მივდივარ დედასთან, უცნობს ქვეყანაშიო,—ამბობდა საწყალი სიკვდილს წინად.—მე ვიცი, რომ დედა იქ დამხვდება. ნუ სტირი, მამავ, ნახვამდის!.. ჰო, დედავ, მოვდივარ,—სთქვა ჟანნამ ბოლოს და ცოტათი წამოიწია, ხელები მაღლა გაიწოდა, მერე ისევ დაეშვა ბალიშზე და განუტევა სული.

ჯემს ველდინგს ცხარე ცრემლები წამოუვიდა თვალთაგან.

აი, ჩემი მოთხრობაც გავათავე, ერინგტონ,—სთქვა ბოლოს:—სამი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ჟანნა მოკვდა და ამ სამს წელიწადში დღევანდლამდის შესანიშნავი არა გადამხდენია-რა.

— დღეს რაღა მოგივიდათ?

— დღეს, სადილს შემდეგ, როდესაც საქმეში ვიყავი გართული და სხვა არაფერზედ არა ვფიქრობდი, უცებ მომესმა ნაზი ხმა: „მამა, მამა!“ ეს ხმა იყო ჩემის ბავშვისა ისე მკაფიოთად გავიგონე, როგორც ჩემი საკუთარი ხმა მესმის. საჩქაროდ მივიხედე, საიდამაც ხმა ისმოდა; ვიფიქრე, იქნება არის ვინმე მეთქი, მაგრამ გრეგორის მეტი ვერავინ დავინახე. ამ დროს განმეორებით მომესმა იგივე ხმა: „მამავ, მოხვალ ჩვენთან! ჩვენთვის ძალიან საჭირო ხარ, გელით“... ამის მეტი აღარა მახსოვს-რა.. გონზედ რო მოვედი, ხელში ვეჭირე გრეგორს, რომელსაც აქამდის ჰგონია, რომ გულის წასვლის მიზეზი ჩემი წაქცევა იყო, მაგრამ არა, საიდუმლო მოწოდება იყო მიზეზი, ერინგტონ.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, ველდინგ, რომ თქვენ სცდებით,—ვუპასუხე თითქმის სასო-წარკვეთილებით.

— ეგ შეუძლებელია. მე არა ვარ ამაოდ-მორწმუნე და არც როდისმე ვყოფილვარ, მაგრამ ეხლა-კი, როდესაც წარსულს მოვიგონებ, მჯერა, რომ ხვალ მზის ამოსვლას ველარ ვიხილავ, რომ იქნება დილა გამითენდეს იმ ქვეყანას და რომ აქაურს ჩემს ცხოვრებას ბოლო ელება საუკუნოდ...

ველდინგი წამოდგა.

მგონია კარგი იქნება, რომ წავიდე და დავიძინო, თორემ საშინლად მოქანცული ვარ,—სთქვა ჯემსმა და გაეშურა ქოხისკენ. მე-კი აღშფოთებული დავიწყე წინ და უკან სიარული.

პატარა ხანს უკან გრეგორმა მკითხა:

— რა მოუვიდა დღეს ველდინგს?

— თავისის ქალის ხმა შემოესმენია: მეძახდა, ჩვენთან წამოდიო.

— განა არა, მეც მაშინვე ეგ გავიფიქრე, როცა გულ-შეღონებული ვნახე,—სთქვა უიმედოდ მოსამსახურემ. ბავშვმა იწინასწარმეტყველა თავისის დედის სიკვდილი, თავისიცა და ეხლა რიგი მაგაზე მიდგა.

— ეგ ნამდვილად იცით?

— დიაღ! როგორ არა, ის ბავშვი ნამდვილი ანგელოზი იყო, თუ როდისმე ანგელოზი ყოფილა ამ ქვეყნად. მე ხომ სულ იმასა ვფიქრობდი, რომ ის ყმაწვილი წმინდანი იყო. არ გაგონილა, რა ბავშვი იყო! დიაღ, ეხლა-კი დაჰკრა მამის უკანასკნელმა საათმაც. ღმერთო, შენ იყავ მისი მფარველი!

—

შემდეგ, როცა ყველანი თავ-თავისს ქოხში წავედით, გავეხვიენით საბნებში და დავიძინეთ, სწორედ შუაღამისას უცებ ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და შემოგვესმა რაღაც ჭექა. იმ წამსვე ყველანი ფეხზედ წამოვცვივდით და გავეშურენით იქითკენ, საიდამაც ხმა მოგვესმა. ქარიშხალს უშველებელი ხე წამოექცია და ზედ ცეცხლზედ დაცემულიყო ჩვენ, რასაკვირველია, გაგვეხარდა, რომ არავის ქოხს არ დასცემოდა, მაგრამ ამ დროს გრეგორის საზარელი ყვირილი მოგვესმა. ცეცხლის ახლო დავინახეთ ხისგან მიჭყლეტილი ველდინგი. საწყალს თურმე ძილი გაჰკრთომოდა, ჩუმად გამოსულიყო ქოხიდამ და ცეცხლს მისჯდომოდა. ბედმა სწორედ აქ უსწრო საცოდავს. საწყალი გრეგორი ტირილით დაემხო მუხლებზედ. იმისს ბატონს ჯერ გრძნობა არა ჰქონდა დაკარგული, მან სიამოვნების ღიმილით შეჰხედა თავისს მეგობარს მოსამსახურეს და უთხრა:

— ჩემო გრეგორ, ყველა ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. მე მივდივარ იმათთან, უკეთესს ქვეყანაში.

ამ დროს მეც მიველი და დაველაპარაკე, მაგრამ ველდინგმა ყური არ მიგდო: ის ზეცისკენ იცქირებოდა, ხელები გულზედ დაეწყო, თითქოს ლოცულობსო, და რაღასაც ჩურჩულებდა. რამდენსამე წუთს ამ სახით იწვა, მერე უცებ შეეცვალა სახე და მღელვარებით წარმოსთქვა:

— დიაღ, დიაღ, მე ვხედავ იმათ,—რა სინათლეა იქ, რა კარგია! ჩემნო ძვირფასნო, მოვდივარ თქვენთან... ამის შემდეგ თვალები დახუჭა, მძიმედ ამოიოხრა და კიდეც გათავდა.

ქარიშხალი ჩავარდა. გათენდა მოღრუბლული, წვიმიანი დილა; ბურუსისაგან აღარაფერი სჩანდა. მაგრამ ჯემს ველდინგს-კი ბრწყინვალე დილა გაუთენდა: ახალს წელიწადს მიეგება იქ, სადაც იყვნენ ისინი, რომელნიც ყველაზედ მეტად უყვარდა ამ ქვეყნად.

მარ. ჯაჯანაშვილისა

კანიც, ამ ამალაზე უფრო უკეთესი ამალა ჰყავანდა თურმე ყმაწვილობაში ჩინეთის ბოღდიხანს. მის უდიდებულესობას 500 კაცამდე მოსამსახურე ჰყავდა თურმე, რომელთა შორის 80 მიძა იყო, 25 მარაოს დამტარებელი, 10 მექოლგე, 30 ექიმი და დოსტაქარი, 7 მზარეული, 23 მზარეულის ხელ-ქვეითი, 50 მსახური და იფრინდა, 50 ზიარის-ფარეში და ტანისამოსის მომვლელი, 75 ვარსკვლავთ-მრიცხველი, 16 აღმზრდელი, 60 გამდელი და სხ.

— ამ დღეებში ფლორენციის ცნობილს კეთილშობილს ქალს, ლედი ფლორენს დიკის, ბალის გამართვა განუზრახავს და დაუგზავნია მისაპატიჟებელი ბარათები. ამ ბარათებზე, სხვათა შორის, შემდეგი შენიშვნაცა წერებულა: «ჩემს საღამოებზე მსურს ბოლო მოვუღო სასაცილო და სულელურს ჩვეულებას, რომ ქალები და დედანი უნდა ვაჟკაცთა ელოდნენ ცეკვისა და თამაშის დროს და ვაჟკაცებზე უნდა იყოს დამოკიდებული, მოიწვევენ ისინი თუ არა რომელისამეს მიპატიჟებას. ქალებს ჩემს საღამოებზე ნება ექმნებათ მოცეკვავე ვაჟკაცის ამორჩევა. მე ვერ ავიტან, რომ ჩემს სახლში კაცები არხეინად დადიოდნენ და იმის ფიქრში იყვნენ, თუ აბა ყინი რომელს ავირჩევს და რომელს ვეცეკვეთო. ჩემსას ქალებსაც ექმნებათ არჩევანის უფლება».

— „Pall-Mall Gazette“ ამბობს, რომ პრინცს უელისას ამ ბოლოს დროს სულის ავადმყოფობა ემჩნევაო.

— ტურინიდგან იწერებიან შემდეგის საფრთხე სანაძლეოს ამბავს: ვიღაც პაცცი ერთს სასტუმროში დანაძლევებულა ორმოცს თუმანზე, რომ უოკლად მოუმზადებლივ ბახის სამხეცოს ლომთა ყაფაზაში შევალო. გავრცელებულა ეს ამბავი მთელს ქალაქში და მისწყდომია ხალხი სამხეცოს: ერთი-ორად და ერთი-სამად იხდიდნენ თურმე შესასვლელს ფასს, ოღონდ კი სანაძლეოს სანახავს დასწრებოდნენ როგორმე. საღამოზედ პაცცი მივიდა სამხეცოში და სთხოვა მხეცთა დამამშვიდებელს, რომ ლომთა ყაფაზაში შემიშვიო. იმასაც პაცცის სურვილი დაუკმაყოფილებია და შეუშვია ყაფაზაში. ლომები სრულიად მშვიდობიანად დაჰხვედრიან დაუპატიჟებელს სტუმარს, მხოლოდ მარტო მე ლომს დაუწყია ეჭვით სიარული პაცცის გარშემო. პაცცი რამდენსამე ხანს ყოფილა ყაფაზაში, შემდეგ, დიდის ტაშის ცემით დაჯილდოვებული, ამაყად გამოსულა თურმე გამარჯვებული და სანაძლეომოგებული.

— ილინოისის შტატის ქალაქ ელოიეს ეკკლესიის კარებში ამას წინად ერთი ბრძოლა მომხდარა. ვიღაც გარრისონს, განქორწილებულს ცოლთან, ეჭვი აუღია, რომ გაზლევუდი უნდა ჰყვარობდეს ჩემს ცოლსაო. ორივე მოპირისპირე ერთმანეთს ეკკლესიის კარებთან შეჰყრიან, სწორედ წირვის დაწყებისას. ორივეს ერთსა და იმავე დროს ამოუღიათ დამბაჩები და დაუწყიათ სროლა. გარრისონს ხუთი ტყვია მოჰხვედრია, გაზლევუდს—სამი. დამბაჩათა ხმაურობას მთელი ეკკლესია ფეხზე დაუყენებია და დაუწიოკებია მლოცველნი, ქალები და ყმაწვილები ფანჯრიდგან გადამხტარან და გაქცეულან. გარრისონი, როგორც სახები და დამწყები ბრძოლისა, იქვე დაუპატიმრებიათ. ორივე მებრძოლი სასიკვდილოდ არის თურმე დაჭრილი.

# დეპეშა

## 1 იანვარი

პეტერბურგი. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმეთა მწარმოებელს კესტერსა და დირექტორს ტფილისის რეალურ სასწავლებლისას ტირიუტინს ებოძათ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა. ებოძათ ორდენები: დირექტორს ტფილისის პირველ გიმნაზიისას მარკოვსა და დირექტორს ტფილისის მუზეუმისა და საჯარო წიგნთ-საკითხავისას რადდეს—წმ. ანნა პირველის ხარისხისა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორს კოროვაევს—წმ. სტანისლავა პირველის ხარისხისა.

## 2 იანვარი

პარიჟი. პანამის არხის საზოგადოება პირობით შეეკრა პარიჟის ბანკს, რომ 60 მილიონის ახალი აქციები გამოვცეთო.

გაგა. მეფის ავადმყოფობა უფრო და უფრო ძნელდება.

პარიჟი. უმწერვალეს რესპუბლიკელთა დასის კანდიდატი პარიჟის დეპუტატობისა ჟაკი, იმის გამო, რომ 15 იანვარს არჩევანები უნდა მოჰხდეს, ეპისტოლეთი კვლავ სწერს ბულანჟეს წინააღმდეგ და ამბობს, რომ მეტად საშიშია იმისი ამორჩევა პარიჟის დეპუტატად საფრანგეთისათვისაო.

ვენა. ჩერნოგორიის მთავრინები, პეტერბურგისკენ მიმავალნი, ვენაში მობრძანდნენ.

ბერლინი. აქაურ მეფინანსეთა შორის რუსეთის ბიუჯეტმა კაი ზედმოქმედება იქონია, იმისდა მიუხედავად, რომ რიცხვები თავისდა თავად ლაპარაკობენ, რუსეთის საფინანსო მდგომარეობის შეცვლას აშკარად ამტკიცებს უქვეშევრდომილესი მოხსენებაც. ამ ცვლილების მიზეზი რუსეთის ეკონომიურის ცხოვრების გაუმჯობესობა და გაუკეთესებაა და ეს იმისი საბუთიც არის, რომ ასეთი საუკეთესო ცვლილება დიდხანს გასტანს. „Berliner Tagblatt“-ი ყურადღებას აქცევს, რომ ბიუჯეტი მეტად კარგად და საფუძვლიანად არის შედგენილიო. „Boersen Courier“-ი იხსენიებს სანუგეშო ამბავს, რომ ამ ხანად ბიუჯეტში ნაჩვენები ჯარის ხარჯი არ არის მომატებულიო. ოფიციალურის გაზეთ „Deutsche Tageblatt“-ში დაბეჭდილია თვალ-საჩინო ადგილზედ მშვენიერი წერილი ერთის საქმის მცოდნე მწერლისა, რომელშიაც მოყვანილია აშკარა ნიშნები ამ მდგომარეობის გაუკეთესებისა. საზოგადო აზრი ამ ბიუჯეტის შესახებ ის არის, რომ ეს ბიუჯეტი კიდევ ახალი საბუთია მშვიდობიანობისა და იმისი, რომ რუსეთი მშვიდობიანობის პოლიტიკას მისდევსო.

ბერლინი. სეფე სიტყვაში პრუსიის სეიმის დაწყების დროს იმპერატორმა გამოაცხადა, რომ უცხო სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება დაცულია და რომ მრეწველობა და ფინანსები კარგს მდგომარეობაშიაო. იმპერატორმა ამას გარდა სთქვა, რომ გადასახადი შემლების კვალობისა უნდა შემოვიღოთ და ახალი რკინის გზები უნდა გავიყვანოთო. სიტყვა დიდის თანაგრძნობით მიიღეს. სეიმის დაწყებაზე დაესწრნენ: სამეფო კარის კაცნი, გენერალიტეტი და სადიპლომატო კრებული. თავ. ბისმარკი არ დასწრებია.

პარიჟი. ზომიერი რესპუბლიკელები მესამე კანდიდატს არ ასახელებენ პარიჟის დეპუტატის ადგილზე. ისინი სცდილობენ ბულანჟეს ხელი შეუშალონ.

პეტერბურგი. 1889 წ. 2 იანვარს მომხდარს ტირაჟში უმთავრესნი მოგებანი ერგოთ შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერიისა | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 12119 | 14 | 200,000 |
| 10499 | 7 | 75,000 |
| 16397 | 7 | 40,000 |
| 10957 | 15 | 25,000 |
| 4102 | 33 | 10,000 |
| 16232 | 25 | 10,000 |
| 5811 | 47 | 10,000 |
| 2260 | 46 | 8,000 |
| 10653 | 1 | 8,000 |
| 3328 | 38 | 8,000 |
| 6663 | 2 | 8,000 |
| 10475 | 6 | 8,000 |
| 15456 | 18 | 5,000 |
| 16412 | 49 | 5,000 |
| 10758 | 5 | 5,000 |
| 3948 | 14 | 5,000 |
| 7943 | 14 | 5,000 |
| 12303 | 33 | 5,000 |
| 9035 | 41 | 5,000 |
| 1091 | 4 | 5,000 |
| 2898 | 15 | 1,000 |
| 11894 | 25 | 1,000 |
| 14744 | 7 | 1,000 |
| 8023 | 2 | 1,000 |
| 13777 | 5 | 1,000 |
| 5869 | 31 | 1,000 |
| 9208 | 1 | 1,000 |
| 12943 | 20 | 1,000 |
| 14689 | 17 | 1,000 |
| 2748 | 17 | 1,000 |
| 15812 | 32 | 1,000 |
| 839 | 32 | 1,000 |
| 9742 | 26 | 1,000 |
| 15650 | 21 | 1,000 |
| 4842 | 4 | 1,000 |
| 7638 | 19 | 1,000 |
| 9326 | 28 | 1,000 |
| 14918 | 28 | 1,000 |
| 18933 | 25 | 1,000 |
| 5193 | 30 | 1,000 |

## 1 იანვარი

ტფილისში მოვიდა ეს დეპეშა 3 იანვარს ნაშუადღევის 6 საათზე.

პეტერბურგი. სენატორი სოლომონი და წევრი ფინანსთა მინისტრის საბჭოსი მენგენდი დაინიშნენ სახელმწიფო საბჭოს წევრებად. ადმირალს გეიდენს ებოძა ბრილიანტის ნიშნები წმ. ანდრია-პირველწოდებულის ორდენისა უმაღლესის რესკრიპტიტური ებოძათ უმაღლესის წყალობის წერილებითურთ: სახელმწიფო საბჭოს წევრი: ადმირალს ნოვოსელსკის ბრილიანტის ნიშნები წმ. ანდრია-პირველწოდებულის ორდენისა, გენერალს კავალერიისას ჩერტკოვს წმ. ვლადიმირის ორდენი 1-ლის ხარისხისა, სენატორს სტარიცკის და მინისტრთა კომიტეტის თავს-მჯდომარეს ბუნგეს—ბრილიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე—ნეველის ორდენისა, მინისტრებს: ფინანსებისას ვიშნეგრადსკის და იუსტიციისას მანასეინს, მთავარს გამგებელს იმპერატრიცის მარიამის დაწე. სებულებათათვის დურნოვოს და საპატიო მზრუნველს სიპიაგინს წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი, სტატს-სეკრეტარს სახელმწიფო საბჭოსას ვილსონს, გამგეს მინისტრთა კომიტეტის საქმეებისას კულომზინს და მის თანაშემწეს შოლცას—ორდენი თეთრის არწივისა. გუბერნატორებს: ნოვგოროდისას მასალოვს და პენზენისას ვოლკოვს—ორდენი წმ. ვლადიმირისა მე 2 ხარისხისა, წევრთ მეცნიერებათა აკადემიისას კოკშაროვს და ბეზობრაზოვს—ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, რექტორს ვარშავის უნივერსიტეტისას ლავროვსკის და პროფესორს მოსკოვის უნივერსიტეტისას ზახარინს—ორდენი თეთრის არწივისა, ზრუნველს სწავლა-განათლებისას ორენბურგის გუბერნიაში მირაილოვს და პროფესორს ხარკოვის უნივერსიტეტისას გრუბეს—ორდენი წმ. ვლადიმირისა მე 2 ხარისხისა, უფროსს ესკადრისას დიდს ოკეანეში, ვიცეადმირალს შმიდტს ორდენი წმ. ვლადიმირისა, მე 2 ხარისხისა.

უმაღლესი ბრძანება: 1, 2, 3, 4 და 5 სტრელკოვი ბატალიონები გადაკეთებულ იქმნას ორ ორ ბატალიონის მპყრობელ პოლკებად. 16 სტრელკოვი ბატალიონი. მისი უდიდებულესობასა იწოდებოდეს მისის უდიდებულესობის 16 სტრელკოვი პოლკად. 27, 40, 41 რეზერვნი პეხოდნი კადროვი ბატალიონები გადაკეთებულ იქმნას. ორ ორ ბატალიონის მპყრობელ პოლკებად იმავე ნომრით, რა ნომრებიც ეხლა აქვთ მითვისებული.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბ.

| | მყიდველები | გამყიდველები | გარიგების ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 58 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 14 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 82 „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპთ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

იანვარი 31 დღით არის.

4 დღე ოთხშაბათი. კრება 70 წამებულთა მოციქულთა. წმ. ათანასესი და ზოსიმესი. კათოლ. ეპ. გრიგოლისა და ტიტასი. მაჰმად. მე-15 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—55. მთვარე 15 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 იანვრიდამ 16 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხის. | . 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ღვაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . | . 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | . 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | . 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| ღორის ხორცი . . . | . 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა ნოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

**Вышла изъ печати и поступила въ продажу**

въ Центральной книжной торговлѣ и въ газетномъ агентствѣ кн Бебутова и К° перепечатанная изъ XI-го тома „Актовъ кавказской археологической комиссіи“ книжка

**„ТЕАТРЪ ВЪ ТИФЛИСѢ СЪ 1845—1856 ГОДЪ“**

in 8°, 213 ст. Чистый доходъ съ изданія предназначенъ на усиленіе средствъ заведенія св. Нины. Цѣна 1 р. с; на веленевой бумагѣ 1 р. 50 к с; въ переплетѣ изъ англійскаго коленкора на 50 к дороже; за пересылку иногороднымъ прилагается 25 к. (5—3)

დაშავებულის შესახვევ ნივთთა უმთავრესი საწყობი

საგაჭრო სახლის

**ალექსანდრე ვენცელისა,**

ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, სახლი № 3, ზიმინის ვიწრო ქუჩ. პირდაპირ.

ისყიდება სხვა-და-სხვა შესახვევი ბამბა, იუტა, ზღვის დაწეწილი ბაწარი, ბინტები, მარლი (იოდოფორმისა, სულემისა, კარბოლისა და სხვათა), ბანდაჟები, ასახვევი, სხვა-და სხვა სადოსტაქრო იარაღი და მოწყობილობანი, რეზინის კუთვნილებანი, კლიონკები, ტერმომეტრები, პულვერიზატორები და სხვანი. (3—2)


Доз. ценз. Тифлисъ 3-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე